შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 86

თბილისი **18 ნოემბერი, 2022 წელი.**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის, ,,ი'' ქვეპუნტის, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის მე-3 მუხლის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ქვეპუნქტების, ასევე ამავე წესის მე-4 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი, პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებელად შემდეგი მიმართულებებით:

- პროფესორი (1 ვაკანტური პოზიცია)
  მიმართულება
  ფართო სფერო: 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები
  ვიწრო სფერო: ენები
  დეტალური სფერო; 0231.1.23 სინოლოგია Sinology

- ასოცირებული პროფესორი (3 ვაკანტური პოზიცია)
  მიმართულება
  ფართო სფერო: 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები
  ვიწრო სფერო: ენები
  დეტალური სფერო; 0231.1.23 სინოლოგია Sinology

- ასისტენტ პროფესორი (3 ვაკანტური პოზიცია)
  მიმართულება
  ფართო სფერო: 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები
  ვიწრო სფერო: ენები
  დეტალური სფერო; 0231.1.23 სინოლოგია Sinology

2.წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში, საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის შესაბამისად:

ა.კანდიდატი **პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგნაირად:
ბ.ა) არანაკლებ 6 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
ბ.ბ)პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ბ.გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება;
გ) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

ბ.კანდიდატი **ასოცირებული პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგნაირად:
ბ.ა) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
ბ.ბ)პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ბ.გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება;
გ) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

გ. კანდიდატი **ასისტენტ პროფესორის** აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგი ნიშნებით:
ბ.ა) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია, დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);
ბ.ბ) პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში)
ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 1 წლის სამუშაო გამოცდილება.

4. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნივერსიტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (იხ.დანართი N1);
ბ) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით);
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);

თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;

ი) კონკრეტულ სფეროში პრაქტიკული, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

6.კონკურსი ცხადდება 2022 წლის 18 ნოემბერს. კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს 20 დეკემბრიდან, 30 დეკემბრის ჩათვლით. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება არა უგვიანეს 2023 წლის 9 იანვარს, მეორე ეტაპი ტარდება არა უგვიანეს 2023 წლის 12 იანვარს, კონკურსის შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 2023 წლის 16 იანვარს. კონკურსანტების მიერ სააპელაციო განცხადებების წარდგენის ვადაა 2023 წლის 17 იანვრიდან, 19 იანვრის ჩათვლით.კონკურსის საბოლოო შედეგები, აპელაციის გათვალისწინებით განისაზღვრება 2023 წლის 27 იანვარს;

8. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ეთხოვოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული საკონკურსო პროცესის კოორდინირება.

9.ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

კანცლერი
ელისო ელისაშვილი

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი